ნაწილისაგან გაწირვის შემდეგ

ანა ჯეგნარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სხელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე პოლიტიკის ანთროპოლოგის მაგისტრისაკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პოლიტიკის ანთროპოლოგია

ზურაბ კიკნაძე, ემერიტუსი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი:

აბსტრაქტი .....

შესავალი .....

მკადრე, სამკადრეო, ჯვარი .....

ნაწილიანის განსაცდელი .....

ანალოგია .....

ორი ერთ სხეულში .....

სამი ეტაპი .....

შექსპირის რჩარდ II-ის სამი ეტაპი .....

დასკვნა .....

ბიბლიოგრაფია .....

აბსტრაქტი

ნაშრომის თემას წარმოადგენს ღვთიურთან წილნაყარობის ფენომენისა და ჰუბრისში ჩავარდნის შედეგების კვლევა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიური გადმოცემების საფუძველზე. ნაშრომში სხვადასხვა თავის სახით შესულია მკადრესა და ჯვარის ურთიერთობის ანალიზი; ნაწილიანი ადამიანის განსაცდელი აღწერა; ერთი მხრივ, მკადრესა და ჯვარს, მეორე მხრივ კი ნაწილიანსა და ნაწილს შორის მიმართებების მსგავსად და ურთიერთმაილუსტრირებლად წარმოსახვა; ღვთიურთან წილნაყარი ადამიანის ცხოვრების სამ ეტაპად წარმოდგენა; ერნსტ კანტოროვიჩის ორი სხეული თეორიის გავლით შექსპირის რიჩარდ II-ისთის სამი ეტაპის მოდელის მორგება.